# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 10 თებერვალი 2007 №29 (2952) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## 2:0
## ხეში წყალი ჩადგა, ქართული ჩოგბურთი თავის ადგილზე დადგა



ბაჩანა კოკოლაძის ფოტო

ქართულ სპორტში კარგი და ლამაზი დღეები გრძელდება. ამ უჩვეულოდ თბილ თებერვალში ხეში წყალიც ჩადგებოდა და ამასთან ერთად ერთიმეორეს მიჰყვა სანატრელი გამარჯვებები.

რაგბი, ფეხბურთი და, აჰა, ჩოგბურთშიც საქმის ორი მესამედი გაკეთებულია: გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს სადევისთასო ნაკრების ყოჩებმა, ირაკლი ლაბაძემ და ლადო ჩიხლაძემ პირწმინდად დაჩაგრეს პორტუგალიელები. ლაბაძემ რუი მაჩადოს 7:5 6:3 7:6 მოუგო, ხოლო ჩიხლაძემ სტუმართა პირველი ნომერი ფრედერიკო ჟილი 6:3 7:6 6:7 6:4 დაამარცხა.

დარჩენილ სამ თამაშში ერთი მოგებაც და, ქართველ ჩოგბურთელებს პროგრამა-მინიმუმი, ანუ ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში დარჩენა შესრულებული ექნებათ. თანაც რევანშსაც ავიღებთ პორტუგალიელებთან ცხრა წლის წინანდელი მარცხის გამო და, წლეულს არა და, იქნებ გაისად უფრო მეტზე, ელიტარულ, მსოფლიო ლიგაზეც ვიფიქროთ...

ბაჩანა კოკოლაძის ფოტო

## სასეირო არაფერი: იტალია სიცარიელით ივსება

ხვალ იტალიაში სტადიონები არ აგუგუნდება. რამდენიმე ქალაქის გარდა, სერია A-ს 23-ე ტური უმაყურებლოდ ჩაივლის — ასეთია ქვეყნის ხელისუფლების, ფეხბურთისა და სპორტის ხელმძღვანელთა თათბირის შედეგი.

მდუმარედ უმასპინძლებს „მილანისა“ და „ლივორნოს“ შეხვედრას თვით „სან სირო“...

„აბსოლუტურად ვეთანხმები იტალიის ფეხბურთის ფედერაციას, რომელმაც წინა პარასკევს პოლიციელის მკვლელობის გამო ჩემპიონატი შეაჩერა, მაგრამ ფეხბურთის უმაყურებლოდ გამართვის იდეას არ ვიზიარებ — განაცხადა ამასთან დაკავშირებით უეფას ახალარჩეულმა პრეზიდენტმა და იტალიურ ფეხბურთში ჭიპმოჭრილმა მიშელ პლატინიმ — უნდა დაისაჯოს ის ხალხი, ვინც „კატანია“—„პალერმოს“ მატჩის დროს არეულობა გააჩაღა, კლუბების დასჯა კი საჭირო არ იყო“.

მაგრამ, ასეა თუ ისე, გადაწყვეტილება მიღებულია და თვით ის კლუბებიც კი, რომლებიც გაფიცვით იმუქრებოდნენ, ბედს შეურიგდნენ.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის ჯულიანო ამატოს განცხადებით, სტადიონების უსაფრთხოდ მოწყობასა და ტრიბუნებზე ხალხის შეშვებას დიდძალი ფულის დახარჯვა არც სდომებია.



# დემეტრაძე ბოსმანობას შეეჭიდა



**გახსოვთ** „ბოსმანის საქმე“, რომელმაც თავის დროზე მთელი ევროპის სატრანსფერო ამბები თავდაყირა დააყენა?! ალბათ, გახსოვთ...

ახლა კი, შესაძლოა, უკრაინაში „დემეტრაძის საქმე“ წამოტივტივდეს. დონეცკის „მეტალურგის“ თავდამსხმელ გიორგი დემეტრაძეს სასამართლოში უჩივლია, უკრაინის ჩემპიონატის რეგლამენტი ერთს ამბობს, ქვეყნის კონსტიტუცია მეორეს და ვითხოვ, ეს ორი კანონი ერთმანეთს შეესაბამოსო — დემეტრაძე უკრაინის ჩემპიონატში ლეგიონერთა რაოდენობის შემცირებას ეწინააღმდეგება.

ალბათ გეხსომებათ, ამას წინათ ლეგიონერთა შემცირების მოთხოვნით უკრაინის ნაკრების თავკაცი ოლეგ ბლოხინი რომ გამოვიდა და ბევრმა ავტორიტეტულმა ადამიანმა მას მყის კვერი დაუკრა, ლეგიონერების სიმრავლით უკრაინული ფეხბურთის განვითარებას საფრთხე ექმნებაო. აქამდე უკრაინის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებს უფლება ჰქონდათ, ერთბაშად რვა ლეგიონერი ეთამაშებინათ, მომავალი სეზონიდან კი მოედანზე ერთდროულად მყოფ უცხოელთა რაოდენობა, შესაძლოა, სამამდე შემცირდეს.

დემეტრაძე ამ საქმეში მარტო არ უნდა იყოს. ის ალბათ ბევრი კლუბისა და ეგებ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე მაღალჩინოსნის ინტერესებსაც ითვალისწინებს — „მეტალურგის“ ქართველი ფორვარდი ხომ უკრაინაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უცხოელი ფეხბურთელია და ლეგიონერთა 8-კაციანი ლიმიტის მოწინააღმდეგე ხალხი იქნებ სწორედ ჩვენებურის სახელით იმყარებს პოზიციებს.

**ჭოლა ინასარიძე**

# ასეთ ყოფნას ყოფნა ჰქვია?

## ჩიხურასგან ერთი ჩიხურა დარჩება

**საჩხერის** „ჩიხურა“ საუმაღლესლიგოდ უკვე გამოვიტირეთ, თუმცა გუნდი ჯახირით მაინც ჩაამთავრებს ჩემპიონატს — ოღონდ ზემოიმერლებს ის გუნდი არ ეყოლებათ, პირველ წრეში რომ ჰყავდათ.

„უმაღლესში პირველი ლიგის „ჩიხურა 2“-ის ფეხბურთელებით ვითამაშებთ და თუ სასწაული არ მოხდა, ალბათ, გავვარდებით. ანუ, ახლავე რომ გამოვეთიშოთ ჩემპიონტს, სოლიდურ ჯარიმას დაგვაკისრებენ“ — გვითხრა „ჩიხურას“ უფროსმა ბადრი ბრეგვაძემ.

სპონსორმა „ქართუ ბანკმა“ „ჩიხურას“ დაფინანსებაზე უარი თქვა. „ქართუ ბანკს“ კლუბის ხელმძღვანელობა-მწვრთნელ-ფეხბურთელების 22 ათასი ლარი დარჩა ვალად და, როგორც ამბობენ, თანხა მალე ანგარიშზე დაჯდება.

„ცხადია, გუნდიდან ყველა ის ფეხბურთელი წავიდა, რომლებიც შარშან უმაღლეს ლიგაში თამაშობდნენ. ასევე წასულია მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილიც“ — ესეც ბრეგვაძის სიტყვებია.

...მაგრამ აქ სხვა პრობლემაც გაჩნდა: თუ „ჩიხურა 2“-ის ფეხბურთელები უმაღლესში ითამაშებენ, პირველ ლიგაში საჩხერელებს გუნდი არ ეყოლებათ. ბრეგვაძემ გვითხრა, პროფლიგას შევთავაზეთ, რომ ჩვენი სახელით ფოთის „კოლხეთს“ ეთამაშა პირველ ლიგაში, მაგრამ ასეთი რამ აკრძალული ყოფილაო.

პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ კაკულიამ ვითარებაში გაგვარკვია: „პირველი ლიგა თებერვლის ბოლოს განახლდება და თუ „ჩიხურა 2“ მონაწილეობას ვერ მიიღებს, ჩვეულებრივ, 17 გუნდი დარჩება და ყველა მათგანს „ჩიხურა 2“-თან სამი ქულა ჩაეწერებათ“.

მოკლედ, ორი „ჩიხურადან“ ერთიღა დარჩება და ისიც ძალისძალად, ვალის მოხდის მიზნით ჩაამთავრებს ჩემპიონატს. საჩხერელები პირველი წრის შემდეგ თოთხმეტგუნდა უმაღლესში მეთერთმეტე ადგილზე არიან და ბოლოსწინა ადგილზე მყოფ გორის „დილას“ შვიდი ქულით უსწრებენ, ანუ გასავარდნი ზონიდან მაინც შორს არიან, მაგრამ რა აზრი აქვს — ახალი სეზონიდან თუ კლუბს პატრონი არ ეყოლება, მაინც ვერ დარჩება უმაღლესში.

**ილია ნანობაშვილი**



„ქართუ ბანკმა“ ხვიჩა ქასრაშვილი უმუშევარი დატოვა

# კარლსრუე, ფრაიბურგი... სირაძე უკვე საინტერესოა

**ან ახალ** კონტრაქტს გააფორმებ ჩვენთან, ან სათადარიგოთა სკამზე მოგიწევს ჯდომა — გუშინდელ „სარბიელშიც“ გაუწყეთ, რომ მეორებუნდესლიგელმა ერცგებირგეს აუე-მ ასეთი პირობა წაუყენა 25 წლის დავით სირაძეს. ჩვენებურს კი მომავალი სეზონიდან აუე-ში თამაში აღარ სურს და სხვა გუნდში გადასვლას აპირებს — უკვე გამოჩნდნენ პირველი მსურველებიც.

სირაძეს თვალი ფოლკერ ფინკეს „ფრაიბურგმაც“ დაადგა, თუმც ეს კლუბი მიმდინარე მეორე ბუნდესლიგაში მე-8 ადგილზეა, დათოს კი აუე-ზე უკეთეს გუნდში სურს თამაში. აუე ახლა მე-5 ადგილზეა, თუმც ერცგებირგელებისთვის პირველ ბუნდესლიგაში აღზევება იდეა-ფიქსი არ არის.

სირაძით მეორე ბუნდესლიგის ლიდერი „კარლსრუეც“ დაინტერესდა. „კარლსრუე“ უახლოეს მდევარ „ჰანზას“ ხუთი ქულით უსწრებს და თუ ლიდერობას ვერ შეინარჩუნებს, პირველ ბუნდესლიგაში გადამსვლელ სამეულს ალბათ არ გამოაკლდება. „კარლსრუე“ სირაძისთვის მისაღები ვარიანტი უნდა იყოს.

მოკლედ, სირაძით უკვე დაინტერესდნენ და შესაძლოა, დათომ თებერვალშივე გააფორმოს კონტრაქტი ახალ კლუბთან, აუე-სთან კი ხელშეკრულება მაისში ეწურება.



**დავით თავართქილაძე**

# ამერს ვადუცთან ფეხი დაუცდა

**„ამერმა“** მორიგი მოსამზადებელი ეტაპი ლიხტენშტაინის თასის მფლობელთან, შვეიცარიის მეორე ლიგაში მოთამაშე „ვადუცთან“ მატჩით დაასრულა.

თამაში „ვადუცმა“ 3:2 მოიგო, მატჩის მსვლელობისას კი სამი ბურთით იგებდა და ამერელებმა ორი გოლის გაქვითვალა მოახერხეს.

ამ მატჩში ხუთივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, შესვენებამდე კი ლიხტენშტაინელებს ზურაბ ქვაჩახიას კართან მომენტი არ შეუქმნიათ, „ამერს“ კი მსაჯმა ორი გოლი არ ჩაუთვალა.

მეორე ტაიმის პირველი სახიფათო მომენტიც ამერელი ბესიკ ჩიმაკაძის იყო, მერე კი, საფეხბურთო წესის თანახმად, ვერ გაიტან, გაგიტანენ, 57-ე, მე-60 და 78-ე წუთებზე „ვადუცმა“ „ამერის“ კარი სამჯერ დალაშქრა. კიდევ ერთ ეპიზოდში მეოთხე გოლისგან გუნდი ქვაჩახიამ იხსნა — პირისპირ გასულ მეტოქეს აუღო.

„ამერმა“ ამის მერეღა მოიკრიბა ძალა და ბოლო ათი წუთი პრაქტიკულად ყველა ამერელმა მეტოქის ნახევარზე გაატარა. თუმცა ამ შტურმისგან „ამერი“ მხოლოდ ორ გოლს გამორჩა. 81-ე წუთზე სულიკო დავითაშვილმა გაიტანა, ორი წუთის მერე კი გიორგი ნიკოლაიშვილის პასით გრიგოლ დოლიძემ შეაგდო.

„ამერი“ თბილისში 10 თებერვალს დაბრუნდება, „ვადუცთან“ კი გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი (კაკაშვილი 46), ჩიკვილაძე, დოლიძე, დობროვოლსკი (მესხი 46), ბოლქვაძე (გაბისკირია 46), ჯელაძე (ნიკოლაიშვილი 77), პეტრიჩევიჩი (ჩიმაკაძე 46), დავითაშვილი.

**გიორგი დარჯანია**

*ბელეკიდან*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხიზანეიშვილის მუხლი VS ლევინიანიძე

**კვირას** „ფრაიბურგი“ მათე ლევინიანიძის „მიუნხენ 1860“-ს მასპინძლობს და შესაძლოა, ფრაიბურგელმა ოთარ ხიზანეიშვილმა ეს მატჩი გამოტოვოს.

„ხიზანეიშვილი ძირითადში ალბათ ვერ დაიწყებს თამაშს, თუმც შესაძლოა, 18-კაციან განაცხადში მოხვდეს“ — ეს ფრაიბურგელთა მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს სიტყვებია, ხოლო კლუბის ვებგვერდის ცნობით, წინა ტურში „უნტერჰახინგთან“ მისი ტრავმა ერთი შეხედვით უფრო მძიმე ჩანდა, ვიდრე გამოდგა.

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი

ჩემპიონატი. XXXII ტური

საუთენდი 5:0 ქუინზ პარკი

### გერმანია

ბუნდესლიგა. XXI ტური

ჰანოვერი 2:2 ვოლფსბურგი

II ბუნდესლიგა. XXI ტური

აუგსბურგი 2:1 უნტერჰახინგი

ბრაუნშვაიგი 0:1 კიოლნი

კაიზერსლაუტერნი 1:1 ჰანზა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIV ტური

აიაჩო 5:0 კრეტეი

ბრესტი 0:0 დიჟონი

გრენობლი 0:1 ამიენი

გენიონი 2:0 გენგამი

ისტრი 3:1 შატორუ

ლიბურნი 2:2 მონპელიე

რეიმსი 2:3 ნიორი

სტრასბური 2:1 ტურსი

კაენი 1:1 ლე ავრი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXIV ტური

ექსელსიორი 0:2 გრონინგენი

II დივიზიონი. XXVII ტური

აპელდორნი 0:2 ოსი

დენ ბოსხი 0:4 გრააფსხაპი

დორდრეხტი 4:0 ჰაარლემი

ეინდჰოვენი 0:4 იგლსი

ალმერე 0:0 ვოლენდამი

ზვოლე 5:0 ჰელმონდი

სიტარდი 2:1 კამბური

ტელსტარი 1:2 ემენი

ვეენდამი 2:1 მაასტრიხტი

ვენლო 3:1 როზენდალი

### ფინეთი

ლიგის თასი. I ტური

იარო 0:1 ვაასა

### ამხანაგური მატჩი

ჩინეთი 1:0 ყაზახეთი



შენოლ გიუნეში და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე

# ჩემთვის კორეა უფრო საინტერესოა

## თბილისური თურქეთი შენოლ გიუნეშსაც არ მოეწონა

სასტუმროში, სადაც თბილისის „ამერი" ცხოვრობს, სხვა გუნდებთან ერთად სამხრეთკორეული „სეულიც" გადის შეკრებას. ამ კლუბით დაინტერესება კი მისმა მთავარმა მწვრთნელმა განაპირობა. „სეულს" თურქეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი შენოლ გიუნეში წვრთნის. გაცნობისას რომ ვუთხარი, გურჯისტანიდან ვარ-მეთქი, ისე გულიანად მომესალმა, თითქოს ძველი ნაცნობები ვყოფილიყავით. მცირე ინტერვიუზე მაშინვე შევუთანხმდი, ოღონდ ეს საქმე 7 თებერვლის საღამომდე გადავდეთ გასაგები მიზეზის გამო — ამ დღეს საქართველო — თურქეთის მატჩი იყო.

იქამდე კი, „სეულის" რამდენიმე ვარჯიში ვნახე და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დავრჩი — მთავარი მწვრთნელი, წარსულში მეკარე, მეტწილად მეკარეებთან მუშაობდა, ფეხბურთელებს კი მისი თანაშემწეები ავარჯიშებდნენ.

7 თებერვლის საღამოს კი სასტუმრო „არკადიას" საფეხბურთო მოსახლეობა სამ ჯგუფად დაიყო — სწორედ ამდენი ტელევიზორი დგას სასტუმროს ფოიეში.

ერთ ტელევიზორთან, რომელიც თურქული არხის ტრანსლაციას აჩვენებდა, თურქები, რუმინელები და მოლდოველები ისხდნენ, უფრო მომცრო ეკრანთან რატომღაც შავკანიან ფეხბურთელთა სიმრავლე იყო, რომლებიც მალიძალ კალაძეს ახსენებდნენ, არადა, კახა კალაძეს, მოგეხსენებათ, თურქეთთან არ უთამაშია, უბრალოდ, ვისაც იცნობდნენ, იმის გვარს ახსენებდნენ.

მესამე ტელევიზორში კი „ამერის" ფეხბურთელები ტელეკომპანია „იმედის" რეპორტაჟს უყურებდნენ.

ნამატჩევს კი შენოლ გიუნეშმა პირველი ეს მითხრა:

— საქართველომ ძალიან კარგად ითამაშა, ჩვენი ნაკრები კი არ მომეწონა, ხომ არ იცი, შოთამ რატომ არ ითამაშა?

შოთა არველაძის არყოფნის მიზეზი ვუთხარი და გავახსენე, თავად როგორ წვრთნიდა შოთას „ტრაბზონში".

— ჰო, მაშინ ძალიან კარგი გუნდი გვყავდა, შოთა კი ნაღდი ლიდერი იყო.

**— მაინც რას ფიქრობთ, რატომ ვეღარ არის თურქეთის ნაკრები ისეთი ძლიერი, როგორიც რამდენიმე წლის წინ იყო?**

— ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა მოვიდა, რომლებიც ისეთი ძლიერები ჯერ ვერ არიან. ამ მატჩში კი თერიმმა ბევრი ფეხბურთელი გასინჯა. შეცვლების სახით ხუთი თავდამსხმელი გამოსცადა, რაც თამაშის ხარისხზე აისახა.

**— თურქეთის ნაკრების ხუთი წლის წინანდელი წარმატების მთავარი მიზეზი რა იყო?**

— წარმატების მიღწევას ბევრი გარემოება განაპირობებს, მაშინ კი ისე მოხდა, რომ ამ გარემოებებმა ერთდროულად მოიყარა თავი. იმავე პერიოდში „გალათასარაიმ" უეფას თასიც მოიგო.

**— თქვენ ახლა კორეულ გუნდში მუშაობთ. დარწმუნებული ვარ, გაცილებით ცნობილი ევროპული კლუბებისგანაც გექნებოდათ შემოთავაზება...**

— დიახ, მქონდა რამდენიმე კარგი ვარიანტი, მაგრამ ასეთი არჩევანი გავაკეთე. კორეაში ახლა ფეხბურთის ბუმია და თან ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ერთი სიტყვით, იქ მუშაობა ჩემთვის უფრო საინტერესოა.

**გიორგი დარჯანია**

---

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა სამძიმარს უცხადებენ ეროვნული ნაკრების წევრ ალექსანდრე იაშვილს

**ბაბუის**

გარდაცვალების გამო

---

აფხაზეთის ფეხბურთის რეგიონალური ფედერაცია სამძიმარს უცხადებს გურიის ფეხბურთის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტ დურმიშხან ჩხაიძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო

---

# რა ეგონა და რა დახვდა თერიმს



ეს ფოტო არსებობს. მოხვედრილან ერთად, როცა ლენარტ იუჰანსონს სწვევია სახელიან მწვრთნელთა ამქარი ამ ხუთი წლის წინათ. ფათიჰ თერიმი უაღრესად კოლორიტული, ბობოქარი კაცი და მაგარი მწვრთნელია. ის კვლავ დაუბრუნდა თურქეთის ნაკრებს და, ცხადია, დიდი შედეგი უნდა. მისი გუნდი საუცხოოდ თამაშობს შესარჩევ ჯგუფში.

მაგრამ ოთხშაბათ საღამოს თერიმი თამაშის პირველივე წუთებიდან მღელვარე და ხმამაღალი იყო. ცისფერ შარფში გამოხვეული იბრძოდა. მან თავის ფეხბურთელებზე ადრე დაინახა, რომ ეს ამხანაგური თამაში მეტოქისთვის მთლად ამხანაგური არ არის. თურქეთს თუ მოუგია საქართველოსთვის, სამ ბურთზე ნაკლებით არა. შორიახლო კიდევ ტოპი იდგა. თერიმმა ყველაფერი იცის ფეხბურთში. ტოპი თერიმის მღელვარებას ყურადღებას არ აქცევდა. ალბათ, ჩრდილოურად, გულში ღელავდა. თერიმისთვის ასეთი თამაშის წაგება ნამეტანი იყო — სავარჯიშო ფრე, ქვეყნის მეთაურების შეხვედრა, სავსე სტადიონი... მაგრამ ამწვარი კოჭები, ძიძგილაობა, მსაჯისკენ გაშვერილი ხელი, ყვირილი. ასე მოხდება ხოლმე, საქართველო ისედაც ეგეთია, ფეხბურთის გარეშეც: ძინავს, ძინავს და უცებ...

აქ კი, თან ტოპი.

ფათიჰ თერიმი ყოველთვის იბრძვის, მაგრამ ამჯერად სურათი მოულოდნელი ჩანდა და გზადაგზა საქმის შემოტრიალება არ გამოვიდა.

საუცხოო კი ის იქნება, თუ საქართველოსთან გზადაგზა აღარავის გამოუვა რამე, არა ამხანაგურში, არამედ ნამდვილშიც.

ტოპიც, მგონი, აქეთ გვექაჩება...

**ირაკლი გამყრელიძე**

# თურქებს სწორად ვაჯობეთ

საქართველო — თურქეთის მცირე მიმოხილვა ჩვენი ნაკრებისა და ალკმაარის" ბომბარდირ შოთა არველაძესაც ვთხოვეთ. ვინ ვინ და, შოთამ თურქების ავანჩავანი კარგად იცის: ის ხომ თითქმის ოთხი წელი თამაშობდა თურქულ „ტრაბზონსფორში"...



შოთა არველაძეს თურქეთის ნაკრებთან მხოლოდ ერთხელ, 2002 წელს უთამაშია ტრაბზონში

— ძალიან ნასიამოვნები დავრჩი. ბიჭებმა კარგად ითამაშეს და მატჩი ამხანაგური იყო თუ ოფიციალური, დიდი მნიშვნელობა არ აქვს — მთავარია, ნაკრები გამართულად თამაშობს.

**— უმთავრესად რის ხარჯზე მოვუგეთ თურქებს?**

— თურქებს ჟინით ვერ გააკვირვებ, საოცარი ტემპერამენტით შეუძლიათ თამაში. ორგანიზაცია და სწორი შეტევები — აშით ვაჯობეთ მეტოქეს. თურქებს მხოლოდ ერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ, თუმცა ის რომ გამოეყენებინათ...

**— ანუ ფიქრობ, თურქებს რომ მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში გაეხსნათ, ჩვენები თამაშს ვეღარ მოატრიალებდნენ?**

— არა, ეგ არავინ იცის, ვინ როდის მოატრიალებს თამაშს. უბრალოდ, როცა ვერც ერთი გუნდი ვერ ფლობს აშკარა უპირატესობას, პირველ გოლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ჩვენებმა უფრო მეტი მომენტი შექმნეს და ორი ბურთით მოგებაც შეიძლებოდა.

**— კლაუს ტოპმიოლერმა ამ მოგების შემდეგ თქვა, ნაკრების ოპტიმალური ბირთვი გამოიკვეთაო და ალბათ ისინიც იგულისხმა, ახლა რომ იკიდებენ ფეხს ნაკრებში...**

— ძალიან კარგი. რაც უფრო მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვეყოლება, მით უკეთესი.

**— მიგაჩნია, რომ შემოდგომაზე საფრანგეთთან წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრები თამაშიდან თამაშამდე უმატებს?**

— ფაქტია, რომ ნაკრებმა ბოლო ორი მატჩი მოიგო. შესარჩევში კი სამივე შეხვედრა დასანანად წავაგეთ. ფრანგებმა საწყის 16 წუთში ორჯერ დაგვირტყეს და ორივე გაგვიტანეს, უკრაინელებს თამაშით ვაჯობეთ, იტალიასთან კი კანკალს გაძევებამ დაგვღუპა.

**ილია ნანობაშვილი**

# დინამო საზოგადოებასთან შესახვედრად მომწიფდა



**თბილისის** „დინამო“ ორკვირიანი ანთალიური შეკრებიდან დაბრუნდა და მზადება დიღმის საწვრთნელ ბაზაზე განაახლა.

ჩემპიონატისა და თასის მატჩების მოახლოებასთან ერთად დუშან უჰრინმა დატვირთვები შეამცირა, გუნდს დღეში ერთხელ ავარჯიშებს და ხვალ ბაზაზევე თელავის „კახეთს“ გააჯიბრებს. სწორედ ამ მატჩის შემდეგ გადაწყვეტს მწვრთნელი ჩერნიგორიელი სპასოევიჩის დამატების საკითხს. ის „დინამოს“ ანთალიაში შეუერთდა, თუმცა მწვრთნელს მასზე საბოლოო წარმოდგენის შესაქმნელად ერთი თამაში და რამდენიმე ვარჯიში კიდევ სჭირდება.

სლოვაკი მცველი მილოშ კრშკო და ნახევარმცველი გიორგი ფეიქრიშვილი კი უკვე დინამოელებად შეგვიძლია ჩავთვალოთ. სავარაუდოდ, ორშაბათს „დინამო“ მათ კონტრაქტებს გაუფორმებს და ნედ ზელიჩთან ერთად საზოგადოებასაც წარუდგენს.

თითქმის გადაწყვეტილია ისიც, რომ სეზონის ბოლომდე „დინამოში“ ითამაშებს საქართველოს ნაკრებისა და ოდესის „ჩერნომორეცის“ მცველი გიორგი შაშიაშვილი. „დინამო“ მას ყველაფერზე მოურიგდება და ახლა ორივე მხარე „ჩერნომორეცის“ თანხმობას ელის. საამსაქმოდ კი შაშიაშვილი ოდესაში დღეს მიემგზავრება და ორ დღეში ალბათ მისთვის და „დინამოსთვის“ სასურველი პასუხით დაბრუნდება. „ჩერნომორეცის“ მწვრთნელმა სემიონ ალტმანმა ქართველი მცველი რატომღაც აითვალწუნა და თავადვე ურჩია, საგაზაფხულოდ ახალი კლუბი მოძებნეო, თანაც უკრაინაში ახლა ლეგიონერებს ამცირებენ. სეზონის დასრულების შემდეგ კი შაშიაშვილი კარიერას, სავარაუდოდ, გერმანიაში გააგრძელებს.

ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებულ „დინამოს“ პირველი გამოცდა მომავალ კვირას თბილისურ „ამერთან“ თასის მეოთხედფინალში ელის.

**კობა ინასარიძე**

# უგოლო მუშაობა რაბოტნიჩკისთან

**თურქულ** სიდეში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ და უკვე მეორე საკონტროლო შეხვედრა გამართა. ვეტერინართა მეტოქე მაკედონის ჩემპიონი „რაბოტნიჩკი“ იყო — გუნდები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

„ვიტ ჯორჯიას“ პრესსამსახურის ცნობით, ყველაზე რეალური საგოლე მომენტი მაკედონიელებს ჰქონდათ, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილმა ურთულესი ბურთი მოიგერია. ეს მოხდა მეორე ტაიმის დასაწყისში. პირველ ტაიმში კი გოლის გატანა ნიკოლოზ გელაშვილს და ირაკლი კიკნაძეს შეეძლოთ, მაგრამ მათ სიზუსტემ უმტყუნა.

ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა ეს შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კვალინაძე, სახოკია (მელქაძე 52), კიკნაძე (ლუჩაშვილი 66), გელაშვილი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზესტაფონმა შეკრება ქორეულად მოილია

**გუშინ** „ზესტაფონმა“ თურქული შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩი კორეულ „ჩონბუკ ჰიუნდაი მოტორსთან“ 1:1 ითამაშა.

პირველი გოლი ზესტაფონელებმა გაიტანეს — მე-20 წუთზე გიორგი ჭელიძემ ედიკ საჯაიას გადაცემით იხეირა, კორეელებმა კი ტაიმის ბოლოს გაათანაბრეს.

„ზესტაფონი“: *ჯალაღონია, ე. საჯაია, ს. თოდუა, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, სანტოსი, ნ. კვასხაძე, ფიფია, იონანიძე, ვიეირა, გ. ჭელიძე.*

შეცვლაზე შევიდნენ: *ბ. ნოზაძე, შ. ლონლაძე, ჯანელიძე, ხიდეშელი.*

„ზესტაფონი“ საქართველოში დღეს დაბრუნდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



აზიელებთან გოლით გიორგი ჭელიძემ (№9) გამოირჩა

# დილა მოლდოვიდანაც ივსება

**საქართველოს** ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას აგრძელებს გორის „დილა“. ქართლელებმა ფინანსური მდგომარეობა გამოასწორეს და ახალი ფეხბურთელებიც დაიმატეს. „დილამ“ უკვე გააფორმა კონტრაქტები საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე რევაზ თევდორაძესთან და „ნორჩი დინამოელის“ ორ ფეხბურთელთან — მამუკა ტორონჯაძესთან და ვაჟა ლომაშვილთან.

გორელთა კიდევ ერთი შენაძენი 22 წლის მცველი ამირან ყველაშვილია, რომელიც ჯერ „თბილისში“ თამაშობდა, შემდეგ კი მოლდოვას მიაშურა და ჩემპიონ „შერიფის“ მეორე გუნდში ირიცხებოდა.

გორელთა მწვრთნელ მამუკა ვარდოსანიძის თქმით, გუნდი რამდენიმე სპარინგსაც გეგმავს, რომელთაგან უახლოესი კვირას გაიმართება ქუთაისის „ტორპედოსთან“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტარანი გიგიაძეს უკვე ტვირთავს

**პრივოი როგის** „კრივბასმა“ მორიგი საკონტროლო თამაში გამართა და 0:1 დამარცხდა გროზნოს „ტერეკთან“. ამ მატჩში ქართველ ფეხბურთელებს არ უთამაშიათ: ვლადიმერ ბურდული ნაკრებში იყო გამოძახებული, ხოლო ვასილ გიგიაძე ტრავმიანობდა.

შეხვედრის შემდეგ კრივბასელთა თავკაცმა ოლეგ ტარანმა განაცხადა, გუნდის კაპიტანი გიგიაძე იძულებითი პაუზის შემდეგ უკვე შემოგვიერთდა და უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობსო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ნალჩიკი გოგუასთვის ისევ იზიდავს

**შოტლანდიურ** „ჰარტსთან“ ვერშემდგარი კონტრაქტის შემდეგ გოგიტა გოგუას ყველაზე რეალურ კლუბად ტომსკის „ტომს“ მოიხსენიებენ, თუმც გოგუას დაბრუნება ნალჩიკის „სპარტაკსაც“ ძალიან სურს. მიუხედავად იმისა, რომ გოგიტას დიდად არ ხიბლავს ასეთი პერსპექტივა.

„გოგუას საკითხი გადაწყვეტის სტადიაშია. ჩვენ ხშირად ვკონტაქტებით ფეხბურთელს. იგი ახალ გუნდს ეძებს და იქნებ ისევ ჩვენთან თამაში გადაწყვიტოს.“ — თავისას არ იშლის „ნალჩიკის“ თავკაცი იური კრასნოჟანი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ალადაშვილი შანსს და იღბალს ელის

დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ ექვსთვიანი იჯარის შემდეგ კახა ალადაშვილი კიევის „დინამოში“ დაბრუნდა, მაგრამ ანატოლი დემიანენკომ ის პირველ შეკრებაზე არ წაიყვანა. კახა „დინამოს“ მეორე გუნდთან ერთად ვარჯიშობდა და, როგორც ჩანს, ოპტიმალურ ფორმაშიც შევიდა — დემიანენკომ მისი ისრაელში, მეორე შეკრებაზე წაყვანა გადაწყვიტა. გამოიყენებს ალადაშვილი თავის შანსს? — ამ შეკითხვით დაიწყო უკრაინელმა ჟურნალისტმა საუბარი ქართველ ფეხბურთელთან.



— რადგან გუნდში დამაბრუნეს და შეკრებაზეც წამიყვანეს, ესე იგი მენდობიან. ყოველ შემთხვევაში, თავის გამოჩენის საშუალებას მაძლევენ. „დნიპროში“ კარგი გამოცდილება მივიღე, საინტერესო მწვრთნელთან ვმუშაობდი და უკრაინულ ფეხბურთს ალღო ავუღე.

— ვარჯიშებზე ყველა ეპიზოდში ბოლომდე იბრძვი...

— ხომ ხედავთ, რა კონკურენციაა გუნდში. ყველა პოზიციაზე ორი-სამი კვალიფიციური შემსრულებელია. ასეთ სიტუაციაში უყურებს მხოლოდ ზარმაცი ადამიანი ჩამოყრის. მალე სეზონის მეორე ნახევარი დაიწყება — დრო კი ითმენს.

— წინა შეკრებაზე გუნდს არ ახლდი...

— მეორე გუნდთან ვვარჯიშობდი „დინამოს“ მანეჟში, ჩავატარეთ საკონტროლო შეხვედრებიც დიდი დატვირთების ფონზე. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ პრობლემები არ მაქვს. ახლა საკუთარი თავის რწმენა და ცოტა იღბალია მთავარი. მზად ვარ, ვითამაშო იქ, სადაც გუნდს გამოვადგები. საერთოდ, მირჩევნია, მარჯვენა ნახევარმცველად ვითამაშო, მაგრამ „დინამო 2“-ში და „დნიპროშიც“ ხშირად მცველადაც მითამაშია.

**— ამ შეკრებაზე ნომერში ფლორიან ჩერნატთან ერთად ცხოვრობ — მასთან ახლო მეგობრობა გაკავშირებს?**

— ნომრის საკითხი მე არ გადამიწყვეტია. საერთოდ, მნიშვნელობა არ აქვს, ვისთან ვცხოვრობ შეკრებაზე. ჩემთვის ახლა მთავარია, რუსულის მცოდნე ფეხბურთელების წრეში ვიყო. კიევში ჩამოსვლამდე რუსულად სიტყვის თქმა არ შემეძლო. „დინამოში“ დასამკვიდრებლად მარტო ფეხბურთის ცოდნა საკმარისი არ არის. თუ გინდა გუნდს და შეეგუო მას, ენის ცოდნა აუცილებელია. ჩერნატიც ჩემსავით იყო თავიდან, მაგრამ ახლა რუსულად თავისუფლად საუბრობს და მასთან ყოფნა რუსულის შესწავლის საშუალებას მაძლევს.

— თავისუფალ დროს ალბათ თანამემამულეებთან ატარებ...

— რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მე ოთარ მარცვალაძესთან ვცხოვრობ ბინაში, დავით იმედაშვილიც თითქმის სულ ჩვენთანაა. საქართველოში კიევის „დინამო“ ქურადღების ცენტრშია. რაც არ უნდა იყოს, აქ ეროვნული ნაკრების სამი პოტენციური ფეხბურთელი ვართ. ხშირად გვირეკავენ ჟურნალისტები, „დინამოს“ ქართულ პრესაში საკმაოდ ვრცლად აშუქებენ. თითქმის ყველა დინამოელთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ასე იყო „დნიპროშიც“. უკრაინულ გუნდებში კოლეგიალური ატმოსფეროა, რაც ძალიან გახარებს. ბოლო დროს უკრაინაში ბევრი ქართველი ფეხბურთელი ჩამოვიდა, მათ შორის ეროვნული ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები და, რა თქმა უნდა, მათთანაც ხშირად ვკონტაქტობ.




# ჩემი კაკა შენ, იმის კაკა მე

## მილანმა და რეალმა ბარსელონას შეუტიეს

„მილანი" გატყდა. ესპანური „ასის" ცნობით, აპენინური გრანდის უფროსობა თანახმაა, ბრაზილიელი კაკას თაობაზე მადრიდის „რეალს" დაელაპარაკოს.

29-31 იანვარს „მილანის" და „რეალის" წარმომადგენლები რონალდოს ტრანსფერის დეტალების დასაზუსტებლად შეხვდნენ ერთმანეთს. მადრიდელთა მხრიდან მოლაპარაკებას სამეფო გუნდის სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი და მისი თანაშემწე ფრანკო ბალდინი აწარმოებდნენ, იტალიელთა ემისარი კი „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი იყო. სწორედ სამდღიანი თათბირის დროს უთხრა გალიანიმ მიატოვიჩს, თუ ჩვენს მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებთ, ჩათვალეთ, რომ კაკა მომავალ სეზონში „რეალის" ფეხბურთელიაო.

ესპანურ მედიას გალიანის მოთხოვნები არ დაუმალავს — „მილანი" კაკას სანაცვლოდ მადრიდელთაგან ფაბიო კანავაროს, რობინიოს, მაჰამადუ დიარას და დარჩენილი თანხის ფულით დაფარვას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „როსონერი" გარიგებაზე უარს იტყვის.

რაც შეეხება „ხურდაში" მისაცემ ფეხბურთელებს, „რეალმა" მშვენივრად იცის, თუ კაკას სანაცვლოდ სამი მოთამაშე დათმო, ძვირ (70 მილიონი ევრო) ტრანსფერს ფრიად შეიმსუბუქებს.

გალიანის და „მილანის" პატრონ სილვიო ბერლუსკონის კი მომავალი სეზონისთვის „სან სიროზე" ბარსელონელი რონალდინიოს გადაყვანა სურთ და ჩანს, ამიტომაც თმობენ კაკას. რონალდინიოს ძმამ და აგენტმა რობერტო დე ასისმა ადრიანო გალიანის უკვე განუცხადა თანხმობა, თუ რაიმე სასწაულმა ხელი არ შეგვიშალა, რონი იტალიაში ითამაშებსო.

ლადო ხომერიკი

# ყველა ფერია ელამია?

## ერიკსონს ყოფილი საყვარელი გაუგიჟდა




სვენ გორან ერიკსონის ყოფილი საყვარელი, ყოველ მხრიდან შერცხვენილი ფარია ელამი ფსიქიატრიულში მოხვდა.

როგორც ასეთ თემებზე დაგეშილი „სანისთვის" გახდა ცნობილი, იგი დეპრესიას მიეცა და ექიმის დახმარება დასჭირდა. 40 წლის ქალბატონის სტრესისა და მისი სამხრეთ-დასავლეთ ლონდონში, როეჰემპტონის კლინიკაში წაყვანის ამბები „სანის" ჟურნალისტებს მისმა მეგობრებმა უამბეს. ერთმა ინკოგნიტომ კი ისიც თქვა, რომ ერთხელ, ერთ კაცს ფარიამ სამსაათიანი სიყვარული 8 ათასი გირვანქა დაუჯინა.

„რომ ვთქვათ, ფარია შინაგანად დაცლილიაო, მეტად მსუბუქი შეფასება გამოგვივა — თქვა მავანმა — სვენის შემდეგ მთელი მისი ცხოვრება შეძენილ იმიჯთან ბრძოლად იქცა და მეტი არაფერი. მას გონებაში ჩაებეჭდა, რომ მისგან, როგორც ნაგვის ურნისგან, ისე გარბიან".

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივნისა და სვენ გორან ერიკსონის რომანი სამი წლის წინანდელი ამბავია. გეხსომებათ, რომ ელამსა და ერიკსონს შორის კავშირი ქალის საყვარლის, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ზურგსუკან გაიბა და მერე დიდი ხმაურით გასკდა.

სხვათა შორის, ელამი ერთხელ, ფარულად, ლონდონის მეიფეარში გადაიღეს, სადაც ვიღაცას დიდი თანხის საფასურად სიყვარულს ჰპირდებოდა.

როგორც ამბობენ, მას ნათქვამი აქვს, რომ ქვეყნად ყველა ქალი ოცნებობს ღალატზე და არატრადიციულ სექს-თავგადასავლებზე.

მოგვიანებით ფარია ელამი „ბიგ ბრაზერში" („ჯეობარის" მშობელი დედაა) გამოსვლასაც აპირებდა, უნდოდა, ყოველდღე ტელევიზორში ყოფილიყო, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა...

ბაპუნა ბედია

# ბექემების პირველი ამერიკული თავსატეხი

## დაცვას მიხედე, დევიდ!



ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასასვლელად გამზადებულ მადრიდის „რეალის" ნახევარმცველ დევიდ ბექემს და მის მეუღლე ვიქტორიას პირველი პრობლემა შეექმნათ — აშშ-ის საემიგრაციო სამსახური უარს ამბობს ბექემების ოჯახის რვა მცველისთვის სამუშაო ვიზის მიცემაზე.

„ბექემების მცველები უკვე დიდი ხანია, ამ ოჯახთან მუშაობდნენ და დევიდი და ვიქტორია მათით ძალიან კმაყოფილნი იყვნენ, თუმცა ამერიკის მკაცრი კანონების გამო თანამშრომლობა ალბათ შეწყდება. ახლა ბექემები ამერიკაში ეძებენ მცველებს" — თქვა დევიდის ერთ-ერთმა მეგობარმა.

საინტერესოა, რომ ინგლისური პრესის ცნობით, ბექემები მცველებს კვირაში 1500-1500 გირვანქას უხდიდნენ.

ბახა შალამბერიძე

# კანავაროს ქალბატონი მოენატრა

## თანახმა იუვე ზაფხულს ელის



AFP

შესაძლოა, ზაფხულში ფაბიო კანავარო ტურინის „იუვენტუსში" დაბრუნდეს. ამ ხმებს საფუძველი თავად 34 წლის მცველის განცხადებამ გაუმყარა — მადრიდის „რეალის" წევრმა ტურინულ „ტუტოსპორტთან" საუბრისას „ბებერ ქალბატონში" დაბრუნება არ გამორიცხა...

„მიმდინარე სეზონის ბოლოს „რეალის" ხელმძღვანელობას შევხვდები და ყველაფერზე დავილაპარაკებთ. მხოლოდ ამის მერე გადავწყვეტ, რას გავაკეთებ" — აღნიშნა კანავარომ, რომელსაც მადრიდელებთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს.

მოგეხსენებათ, კანავარომ „იუვენტუსი" შარშან ზაფხულს ტურინელების სერია B-ში დაქვეითების შემდეგ დატოვა, თუმცა „რეალს" ვერაფრით მოერგო.

ამბობენ, მისი გუნდში დარჩენა-არდარჩენა ფაბიო კაპელოზეც არის დამოკიდებულიო. თუ იტალიელ სპეციალისტს ამ სეზონის მერე „რეალიდან" გაუშვებენ, ალბათ კანავაროც წავა.

ფაბიო კანავარო: „ტურინში ორი საოცარი სეზონი გავატარე და ქომაგების კერპადაც ვიქეცი. რაც უნდა მოხდეს, იქაურობას ვერასოდეს დავივიწყებ. სხვა დანარჩენი სამწუხარო შემთხვევითობა და გაუგებრობაა".

გავიხსენოთ ისიც, რომ ცოტა ხნის წინ „იუვენტუსში" დაბრუნება არც ემერსონმა გამორიცხა — ბრაზილიელი ნახევარმცველი „ბიანკონერიდან" „რეალში" შარშან ზაფხულს კანავაროსთან ერთად გადავიდა.

იმასაც ამბობენ, „იუვეს" ხელმძღვანელობა ემერსონის დაბრუნებაზე დიდად არ ფიქრობს. აი, კანავაროს კი სიამოვნებით მიიღებსო. თუ ეს მოხდა, „სკუადრა აძურას" კაპიტანს ალბათ ხელფასის შემცირებაზე მოუწევს დაყაბულება.

ბოკი ბანდელაკი

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

დეპორტეს ტოლიმა — დეპორტივო ტაჩირა 2:0 (2:1)

ლევონ თრეველი

გთავაზობთ უნიკალური შანსს, დაესწროთ შოტლანდია — საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩს გლაზგოში 24 მარტს.

იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია. განცხადებები მიიღება 28 თებერვლამდე.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №20
ტელეფონი: 250010, 250060, 250199, 8(99)537845

# არგაფიცვაზე დაფიცებულნი

## ვითამაშებთ, მაგრამ ვისთვის, რისთვის...



AFP

**ასე** და ამგვარად, იტალიის ჩემპიონატი გაგრძელდება, რამეთუ მთავრობისა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემოღებულ ახალ წესებს ყველაზე გაბრაზებული კლუბებიც კი შეეგუვნენ და გაფიცვა, რომელზეც ერთი ხანობა ლაპარაკი წამოიწყეს, გადაიფიქრეს.

შეგახსენებთ, რომ კლუბებმა ყველაზე მეტად ახალი წესების ის ნაწილი ვერ აიტანეს, რომლის თანახმადაც მოუწესრიგებელ სტადიონებზე მაყურებლის დასწრება იკრძალება. აღსანიშნავია, რომ გაფიცვაზე საუბარი სერია A-სა და სერია B-ს წარმომადგენლების მრავალსაათიანი თათბირის შემდეგლა მორჩა. „ლივორნო" და „ნაპოლი" განსაკუთრებით გაბრაზებულნი ჩანდნენ. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა, რამენაირად, აბონემენტის მფლობელთათვის მაინც შეენარჩუნებინათ ტრიბუნაზე ყოფნის უფლება, მაგრამ მათმა მონდომებამ ამჯერად შედეგი ვერ გამოიღო.

„გაფიცვაზე უარის თქმით ჩვენ დიდი სიმწიფე გამოვამჟღავნეთ — განაცხადა თათბირის შემდეგ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ, რომლის „როსონერიც" კვირას „ლივორნოს" სამარისებურ სიჩუმეში უნდა დაუპირისპირდეს — თუ ხელისუფლებამ კანონი მიიღო, მაშინ მას ყველანი უნდა დავემორჩილოთ. ჩვენი სტადიონები კანონზე მაღლა ვერაფრით დადგება. უბრალოდ, სამწუხაროა, რომ კანონის ამოქმედებამ ჩვენ მიერ სარემონტო და მოსამზადებელი სამუშაოების დასრულებას დაასწრო".

ბუნებრივია, „მილანს" სტადიონის პრობლემა მხოლოდ იტალიის ჩემპიონატის თამაშებზე არ უდგას. თუ უსაფრთხოების თვალსაზრისით „სან სირო" არვარგა, ის არ ვარგა ჩემპიონთა ლიგისთვისაც და ამიტომ მ გალიანი ამთავითვე ალტერნატიული სარბიელის ძებნაშია. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ „სელტიკთან" თამაშისთვის არის ორი ვარიანტი: ჟენევა და ნიუკასლი.

უმაყურებლო ტრიბუნების წინ ბურთაობას მძიმედ ეგუება „ტორინოს" პრეზიდენტი ურბანო კაიროც: „როდესაც საქმე ფეხბურთს ეხება, ასეთი გადაწყვეტილებების მიღება არ ვარგა".

როგორც ჩანს, ურბანო კაიროსთვის ფეხბურთი იმდენად საყვარელი (ან მომგებიანი) სფეროა, რომ მისადმი განსაკუთრებულ მოპყრობას ითხოვს.

„ლეგა კალ[illegible] რთო ლიგის პრეზიდენ[illegible]ზე: „ჯოჯო[illegible] გადავწყვიტეთ, საქვეყნოდ ვაჩვენოთ, თუ რაოდენ ფრთხილად და გულისყურით ვუდგებით იტალიური ფეხბურთის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს და მიღწეული შეთანხმებით ვამაყობ. ყველა პრეზიდენტი დაგვეთანხმა, რომ ამ გადაწყვეტილებით ჩვენ საკუთარ პასუხისმგებლობის გრძნობას ვუსვამთ ხაზს. გარდა ამისა, სერია A-სა და სერია B-ს ორხი კლუბის პრეზიდენტი გაერთიანდა საგანგებო კომისიაში, რომელიც ყურადღებას მიაქცევს, რომ იტალიურ სტადიონებზე უსაფრთხოების მოთხოვნები და ევროპულ დონეზე მოწესრიგებული „პისანუს წესები" დაცული იქნებოდეს".

თავის მხრივ, ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯულიანო ამატომ გულშემატკივრებს შეუთვალა, რომ მათი ტრიბუნებიდან არდაშვება დროებითი და ხანმოკლე მოვლენაა.

„სტადიონის შეკეთებებში ჯგუფური ტურნიკეტების დაყენება კომისიური ხომალდის აგებას არ ნიშნავს, ეს გაცილებით იოლი ამოცანაა და მასთან დაკავშირებით ხარჯებზე ტყვრი ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. ყველაზე პრობლემური კლუბებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ურთიერთობის გარკვევა იქნება. მხარეები შეეცდებიან, ამ ტურნიკეტების თუ სხვა სისტემების დაყენების თანხები ერთმანეთს შეაჩეჩონ, მაგრამ ვფიქრობ, მოლაპარაკებას ორ-სამ ტურზე მეტი მაინც არ დასჭირდება.

**პაპუნა ძიძია**

# იტალია

## სიცივე და ფეხბურთის სასაფლაო სან სიროზე

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სამპდორია | : | ასკოლი |
| მესინა | : | კატანია |
| **ხვალ** | | |
| პალერმო | : | ემპოლი |
| კიევო | : | ინტერი |
| ატალანტა | : | ლაციო |
| მილანი | : | ლივორნო |
| რომა | : | პარმა |
| ტორინო | : | რეჯინა |
| კალიარი | : | სიენა |
| ფიორენტინა | : | უდინეზე |

რვა დღის წინ იტალიაში, კერძოდ, სიცილიაზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ გეცოდინებათ. „კატანია" — „პალერმოს" მატჩს დიდი აურზაური მოჰყვა და ერთი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა... და აი, ჩაშლილი 22-ე ტურის, დავა-კამათის, გამკაცრებული უსაფრთხოების ზომებისა და დისკვალიფიცირებული სტადიონების, მოკლედ, სერიოზული არეულ-დარეულობის შემდეგ, სერია A ბრუნდება...





AFP

იტალიური სტადიონები ამათ გამო დაცარიელდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 21 | 18 | 3 | 0 | 46:17 | 57 |
| რომა | 21 | 14 | 4 | 3 | 43:17 | 46 |
| პალერმო | 22 | 13 | 3 | 6 | 39:27 | 42 |
| ლაციო | 21 | 9 | 6 | 6 | 33:18 | 30 |
| კატანია | 22 | 8 | 6 | 8 | 30:38 | 30 |
| ემპოლი | 21 | 7 | 8 | 6 | 19:19 | 29 |
| უდინეზე | 21 | 8 | 5 | 8 | 23:25 | 29 |
| ატალანტა | 21 | 7 | 7 | 7 | 36:32 | 28 |
| მილანი | 21 | 9 | 8 | 4 | 26:17 | 27 |
| სამპდორია | 21 | 6 | 6 | 9 | 28:30 | 24 |
| სიენა | 21 | 5 | 10 | 6 | 18:22 | 24 |
| ლივორნო | 21 | 5 | 8 | 8 | 21:32 | 23 |
| ფიორენტინა | 21 | 11 | 4 | 6 | 33:21 | 22 |
| კალიარი | 21 | 4 | 10 | 7 | 16:23 | 22 |
| ტორინო | 21 | 5 | 7 | 9 | 17:27 | 22 |
| კიევო | 21 | 4 | 6 | 11 | 21:30 | 18 |
| რეჯინა | 21 | 7 | 6 | 8 | 26:28 | 16 |
| მესინა | 21 | 3 | 7 | 11 | 21:36 | 16 |
| პარმა | 21 | 3 | 6 | 12 | 17:36 | 15 |
| ასკოლი | 21 | 2 | 6 | 13 | 16:34 | 12 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

**„ინტერი"**, რომელიც წინა, გადადებულ ტურში „რომას" უნდა შეხვედროდა, ხვალ „კიევოს" სტუმრობს და ბრწყინვალე შანსი აქვს, მიჯრით მოგებების რეკორდი 15-მდე გაზარდოს. „მფრინავ ვირებს" ამ სეზონში ძალიან უჭირთ და გადარჩენისთვის იბრძვიან.

რობერტო მანჩინი მარკო ანდრეოლის და ნიკოლას ბურდისოს ვერ დაიხმარს, თუმცა „ინტერისთვის" ეს პრობლემა არ არის. „კიევოს" კი დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი მოთამაშე აკლია — ლორენცო დანა და ლუსიანო. ეს ნიშნავს, რომ ლუიჯი დელ ნერი ანდრეა მანტოვანისა და კამილ კოსოვსკის მისცემს შანსს.

„რომა" ასევე აუტსაიდერ „პარმას" მასპინძლობს. „ენიო ტარდინის" ბინადრები 15 ქულით ბოლოსწინა ადგილზე არიან და თუ ახლო მომავალში თამაში ვერ გამოასწორეს, კლუბის ახალი მფლობელი ტომაზო გირარდი ალბათ მწვრთნელ სტეფანო პიოლის გაუშვებს.

„გლადიატორთა" მხრიდან ალბათ კრისტიან კივუ და ფილიპ მექსეში ვერ ითამაშებენ — ჯერ ბოლომდე არ მოშუშებულან. პარმელებს კი ჯუზეპე კარდონე და ანდრეა პიზანუ აკლიათ.

თუ „რომას" „სტადიო ოლიმპიკოზე" ქომაგების შეშვების უფლება აქვს, „მილანს", „ინტერის" დარად, ცარიელი ტრიბუნების წინ მოუწევს თამაში — ფეხბურთის ფედერაციის ახალ მოთხოვნებს „სან სირო" ვერ აკმაყოფილებს.

„როსონერის" ყველა წევრი კატეგორიულად ეწინააღმდეგება წესების ასეთ გამკაცრებას და ქომაგთათვის მოედანზე შესვლის აკრძალვას. გუნდის კაპიტანმა პაოლო მალდინიმ ამას ფეხბურთის სიკვდილიც კი უწოდა.

„რა თქმა უნდა, სიცილიაზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ განსაკუთრებული ზომებია მისაღები, თუმცა მატჩების ცარიელ სტადიონზე ჩატარებას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. ეს იმდენად ცუდი რამ არის, სიტყვებით ვერც აღწერ. ცარიელი ტრიბუნები რაღაცნაირი, სიცივის გრძნობას იწვევს" — თქვა „მილანის" ნახევარმცველმა კრისტიან ბროკიმ, რომლის თამაშიც ტრავმის გამო საეჭვოა.

„როსონერის" გოლკიპერი ნელსონ დიდა საკმაო ხნითაა დაშავებული, ბოლომდე მზად არც ავსტრალიელი ჟელჯკო კალაჩია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ლივორნოსთან" მატჩში „მესინადან" ნაყიდი მარკო სტორარის დებიუტი შედგება.

ექიმების ხელში რჩებიან ალესანდრო ნესტა და სერჟინიო, ხოლო ფილიპო ინძაგის მინდორზე გასვლა საეჭვოა.

რაც შეეხება რონალდოს, შესაძლოა, კარლო ანჩელოტიმ ის არც ათამაშოს, რადგან ბრაზილიელი სრულ მზადყოფნაში არ არის.

ტოსკანიელთა თავკაცი დანიელე არიგონი მილანელებთან დარიო კნეჟევიჩსა და სტეფანო პანუჩის ვერ დაიხმარს.

რაც შეეხება „ფიორენტინა" — „უდინეზეს", ფლორენციელებს მარიო სანტანა, მარკო დონადელი და მასიმო გობი არ ეყოლებათ, ხოლო უდინელები დიას ფელიპესა და დამიანო ძენონის მოისაკლისებენ.

**გიორგი ქაქაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გადართეთ ტელევიზორი!
## ვერ ვნახე VICTORY, ვნახე ვიქტორია

**სტივ კოპელი** პრემიერლიგაში მუშაობს, „რედინგის" მწვრთნელი გახლავთ. ფეხბურთელობისას ის, ისევე, როგორც მოგვიანებით, დევიდ ბექემი, ინგლისის ნაკრების მეშვიდე ნომერი იყო, ეს ყველაფერი კი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ამ დაფასებულმა კაცმა ოთხშაბათს ინგლისისა და ესპანეთის ერთოვნულ გუნდთა ამხანაგური თამაში არ ნახა, უფრო სწორად კი ცოტა ნახა და მერე ტელევიზორი იმ არხზე გადართო, რომელიც ბექემის ცოლის ამბებს გადასცემდა.

ცხადია, აქ შვიდი ნომრობა არაფერ შუაშია, ეს ისე ვთქვით, დამთხვევის გამო. ტელევიზორის გადართვის მიზეზი სულ სხვა რამ გახლდათ:

„თამაშს ცოტა ხანს ვადევნე თვალი და მერე ვიქტორია ბექემის შესახებ დოკუმენტურ ფილმზე გადავრთე" — თქვა თავისიანების თამაშით განაწყენებულმა კოპელმა და დასძინა, რომ მისი აზრით, ინგლისის ნაკრები, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზე სულაც ვერ მოხვდეს.

განაწყენებული გახლდათ ცნობილი გრემ ტეილორიც, რომელმაც თქვა, თუ ჩვენი ნაკრები ისრაელის ნაკრებთან მოახლოებულ შეხვედრაშიც ვერ გაიმარჯვებს, მწვრთნელი სტივ მაკლარენი თავს საშინელ დღეში ჩაიგდებსო. ტეილორს კარგად მოეხსენება, რა დღეშიცაა ახლა „მაკი", რადგან ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა წარუმატებლობის პერიოდში თავის თავზე აქვს ნაწვნევი — ის ინგლისს 1992 წლის უილბლო ევროჩემპიონატზე ედგა სათავეში.

„ყველაზე მეტად ოფიციალური თამაშებისა მეშინია — ბრძანა სპეციალისტმა — ხორვატიასთან წაგებისა და ესპანეთთან ასეთი საშინელი თამაშის მერე ვშიშობ, ისრაელთან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ".

ინგლისის ნაკრებისა და „საუთჰემპტონის" ყოფილი ვარსკვლავი მეტიუ ლე ტისიე კი პირდაპირ მაკლარენს უტევს, ეგ კაცი მწვრთნელად საერთოდ არ უნდა დაენიშნათო.

„როდესაც გავიგე, რომ მწვრთნელად მაკლარენს ნიშნავენ, გაოცებისგან პირი დავაღე. ონილი და სკოლარი გაცილებით უკეთესი კანდიდატურები იყვნენ, მაგრამ თუ მაინც და მაინც ინგლისელი მწვრთნელი უნდოდათ, ალარდაისი უნდა დაენიშნათ" — დასძინა ლე ტისიემ.

**ბაკუნა ძედია**

## რაფა ბაზარში 150 მილიონით წავა

**ახალი** პატრონის ფულით წელგამართული „ლივერპული", „დეილი მეილის" ცნობით, მადრიდის „ატლეტიკოდან" ფერნანდო ტორესის ყიდვას აპირებს. საზაფხულო ტრანსფერებისთვის [illegible] მფლობელმა ჯორჯ ჯილეტმა 150 მილიონი გირვანქა ჩააბარა მწვრთნელს. „დეილი მეილი" ამტკიცებს, რომ მერსისაიდელები კრიშტიანუ რონალდუზეც გაიქაჩებიანო. „სანი" კი აცხადებს, თითქმის გადაწყვეტილია „ტენერიფედან" 22 წლის მარჯვენა ნახევარმცველ იროიმე გომესის ტრანსფერიო.

## ვილამ ნაიკი ჩაიცვა

**ბირმინგემის** „ასტონ ვილამ" „ნაიკთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 25 მილიონ გირვანქას მიიღებს — ესაა კლუბის ისტორიაში უმსუყესი გარიგება. ფულის ნაწილს ზაფხულში ტრანსფერებისთვის დახარჯავენ. „ასტონ ვილას" ამერიკელ პატრონ რენდი ლესნერის თქმით, კვლავაც არ დაიშურებს თანხას, ოღონდ კი კლუბმა წარმატებას მიაღწიოს.

## ფეიენოორდს ქაღალდი დაახიეს

**ლოზანის** სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ როტერდამის „ფეიენოორდის" აპელაცია არ დააკმაყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ უეფას გადაწყვეტილება ძალაშია — „ფეიენოორდი" მოკვეთილია უეფას თასიდან.

როტერდამული კლუბის დასჯის მიზეზი გეხსომებათ — 30 ნოემბერს „ნანსისთან" მატჩისას „ფეიენოორდის" ფანების ალვირახსნილი საქციელი. როტერდამელები უეფას თასის მერვედფინალში „ტოტენჰემს" უნდა შეხვედროდნენ მომავალ ოთხშაბათს...

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რედინგი | : | ასტონ ვილა |
| შეფილდი | : | ტოტენჰემი |
| ვესტ ჰემი | : | უოტფორდი |
| ჩელსი | : | მიდლსბრო |
| ევერტონი | : | ბლექბერნი |
| მანჩესტერი | : | ჩარლტონი |
| ნიუკასლი | : | ლივერპული |
| პორტსმუთი | : | სიტი |
| **ხვალ** | | |
| არსენალი | : | უიგანი |
| ბოლტონი | : | ფულემი |

# ინგლისი
## ნემანია-რიო: პამპერსიანი ბიჭები
### ფერგიუსონს სიმშრალე უხარია



**სერ** ალექს ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ „ჩელსისთან" საჩემპიონო დუელში გადამწყვეტ სიტყვას „მანჩესტერ იუნაიტედის" დაცვის კარგი თამაში იტყვის. „მანჩესტერმა" ბოლო ორი მატჩი („უოტფორდთან" და „ტოტენჰემთან") ერთნაირი ანგარიშით, 4:0 მოიგო და რაკი გოლი არ გაუშვა, ფერგიუსონიც ამიტომ ლაპარაკობს დაცვის სიძლიერეზე. ნახევარდაცვაში კი კრიშტიანუ რონალდუ და პოლ სქოულზი ბრწყინავენ. სქოულზი ისე თამაშობს, როგორც საუკეთესო წლებში, ხოლო რონალდუს გოლი გოლზე გააქვს.

დაცვის ცენტრში საუცხოოა რიო ფერდინანდისა და ნემანია ვიდიჩის წყვილი, მწვრთნელი კი ამბობს: „ჩემპიონატის ამ ეტაპზე კარის მშრალად შენახვა ჩვენი მთავარი ამოცანაა. რიომ და ნემანიამ ერთმანეთს ძალიან კარგად გაუგეს და თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე ახალგაზრდაა, კიდევ დიდხანს იქნებიან გუნდის წარმატების საწინდარი... ლისჩამდგმელები".

ფერგიუსონი იმედოვნებს, რომ მეკარე ტომაშ კუშჩაკი ფერდინანდ-ვიდიჩის დუეტს კარგა გაუგებს და იდილია არ დაირღვევა. კუშჩაკი ედვინ ვან დერ სარს შეცვლის, რომელიც ცხვირგატეხილია და ალბათ ორი კვირა ვერ ითამაშებს...

„ჩელსი" მასპინძლობს „მიდლსბროს", რომელსაც უკვე ექვსი ტურია, არ წაუგია. „ბორომ" პირველ წრეში შინ 1:0 მოუგო ჟოზე მაურინიუს გუნდს და ლონდონელებს რევანში სწყურიათ. ჩელსელებს არ ეყოლებათ მიხაელ ბალაკი — გერმანელი შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში დაშავდა.

13 დეკემბრის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშებს კაპიტანი ჯონ ტერი, რომელიც წინა ტურში „ჩარლტონთან" შეცვლაზე შევიდა.

„ლივერპულის" ახალი მეპატრონენი, ამერიკელები, ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი დღეს ნიუკასლში ნახავენ თავიანთი გუნდის თამაშს. „ლივერპულმა" წაუგებელი სერია ექვსამდე გაზარდა და „ნიუკასლთან" დისკვალიფიცირებული ნახევარმცველი ხაბი ალონსო დააკლდება.

ლივერპულელთა მცველი ჯეიმი კარაგერი: „ახალი პატრონი გაგვაძლიერებს. მთელი გუნდი ბოლო დღეებში მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს და გვიხარია, რომ კლუბმა ნაბიჯი წინ გადადგა".

ცხრილის თავში საჩემპიონო ბრძოლა გახურდა, ქვემოთ მყოფებს კი თავიანთი საღარდებელი აქვთ.

„ვესტ ჰემი" ბოლოადგილოსან „უოტფორდს" მასპინძლობს და „ჩაქუჩების" მწვრთნელ ალან კერბიშლის თქმით, ეს მატჩი მისი გუნდისთვის გადამწყვეტი იქნება. კერბიშლიმ „ვესტ ჰემი" დეკემბერში ჩაიბარა და მხოლოდ ერთი თამაში მოიგო.

„ჯერ „უოფტფორდს უნდა მოვუგოთ, შემდეგ „ჩარლტონთან" გვიწევს გასვლა. ფეხბურთელებს არ სჭირდებათ იმის ახსნა, რომ ეს ორი მატჩი სამკვდრო-სასიცოცხლოა" — განაცხადა ლონდონელი „ჩაქუჩების" თავკაცმა.

ლონდონის „არსენალი" „უიგანს" მასპინძლობს, რომელმაც წინა კვირას შინ „პორტსმუთის" ძლევით შეწყვიტა რვამატჩიანი მოუგებელი სერია. უიგანელებს ხუთჯერ უთამაშიათ სტუმრად „არსენალთან" და აქედან ოთხჯერ დამარცხებულან. თან ყველაზე მეტი სიმწარე ტიერი ანრისგან ახსოვთ, ჯერ სამ მატჩში ექვსი გოლი გაუტანა. ანრი ახლაც კარგ ფორმაშია და მისმა გოლმა „მეთოფეები" წინა ტურში „მიდლსბროსთან" წაგებისგან იხსნა.

არსენალელებს ფილიპ სენდეროსი ჰყავთ დისკვალიფიცირებული...

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 2:0 | 0:1 | | 3:2 | 3:0 | 3:0 | | 2:0 | 1:0 | | 3:1 | 5:1 | 3:1 | | 3:1 | | | 4:0 | 26 | 20 | 3 | 3 | 61:18 | 63 | 11 | 1 | 1 | 33:8 | 34 | 9 | 2 | 2 | 28:10 | 29 |
| 2 | ჩელსი | | | 1:0 | 1:1 | · | 2:2 | 2:1 | | 3:0 | 1:0 | | | 1:1 | 2:2 | 3:0 | | 4:0 | 1:0 | 2:1 | 4:0 | 26 | 17 | 6 | 3 | 45:19 | 57 | 9 | 4 | 0 | 27:8 | 31 | 8 | 2 | 3 | 18:11 | 26 |
| 3 | ლივერპული | | 2:0 | | | 3:0 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 2:0 | 3:0 | | 3:1 | 4:0 | 1:0 | | | 2:1 | | 2:0 | 26 | 15 | 5 | 6 | 39:17 | 50 | 10 | 3 | 0 | 25:3 | 33 | 5 | 2 | 6 | 14:14 | 17 |
| 4 | არსენალი | 2:1 | | 3:0 | | | | 2:2 | 1:1 | 6:2 | 1:1 | 3:0 | 1:1 | 1:1 | | | 3:0 | | | 4:0 | 3:0 | 25 | 13 | 7 | 5 | 46:21 | 46 | 7 | 5 | 0 | 30:9 | 26 | 6 | 2 | 5 | 16:12 | 20 |
| 5 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 2:0 | 3:1 | | | 3:2 | | | 2:1 | 2:0 | 0:0 | | | 0:0 | | 0:1 | 4:0 | 1:1 | 1:0 | 26 | 13 | 5 | 8 | 30:27 | 44 | 7 | 3 | 3 | 18:11 | 24 | 6 | 2 | 5 | 12:16 | 20 |
| 6 | რედინგი | 1:1 | 0:1 | | 0:4 | 1:0 | | | 0:2 | 1:2 | | 3:1 | 3:2 | | | 1:0 | 3:1 | 3:2 | 6:0 | 2:0 | | 26 | 12 | 4 | 10 | 39:34 | 40 | 8 | 1 | 4 | 24:16 | 25 | 4 | 3 | 6 | 15:18 | 15 |
| 7 | პორტსმუთი | | | | | 0:1 | 3:1 | | 2:0 | 3:0 | | 1:1 | 0:0 | 2:2 | 1:1 | | 3:1 | 1:0 | 2:0 | 0:1 | 2:1 | 26 | 10 | 8 | 8 | 34:25 | 38 | 7 | 4 | 2 | 20:9 | 25 | 3 | 4 | 6 | 14:16 | 13 |
| 8 | ევერტონი | | 2:3 | 3:0 | | 1:0 | 1:1 | | | | 3:0 | | 0:0 | 0:1 | | 1:1 | 2:0 | 2:2 | 2:0 | | 2:1 | 25 | 9 | 9 | 7 | 31:23 | 36 | 6 | 4 | 2 | 19:9 | 22 | 3 | 5 | 5 | 12:14 | 14 |
| 9 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | 1:0 | 0:2 | 0:1 | | | 1:1 | | 1:3 | 1:1 | 2:1 | | 2:0 | 4:2 | 2:1 | 2:1 | | | | 26 | 10 | 4 | 12 | 30:37 | 34 | 6 | 2 | 5 | 16:16 | 20 | 4 | 2 | 7 | 14:21 | 14 |
| 10 | ნიუკასლი | 2:2 | | | | 1:2 | 3:2 | 1:0 | 1:1 | | | 3:1 | | 3:1 | 1:2 | | 0:1 | 2:1 | 2:2 | 0:0 | 2:1 | 26 | 9 | 6 | 11 | 32:35 | 33 | 6 | 4 | 3 | 21:16 | 22 | 3 | 2 | 8 | 11:19 | 11 |
| 11 | ტოტენჰემი | 0:4 | 2:1 | 0:1 | | | | 2:1 | 0:2 | | 2:3 | | 2:1 | 2:1 | 0:0 | | 2:0 | 3:1 | 1:0 | 5:1 | | 25 | 9 | 6 | 10 | 29:36 | 33 | 8 | 1 | 4 | 21:16 | 25 | 1 | 5 | 6 | 8:20 | 8 |
| 12 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 5:1 | | 0:4 | 2:1 | 0:1 | 1:0 | | | | | | 3:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | | 26 | 8 | 8 | 10 | 30:30 | 32 | 7 | 3 | 3 | 19:13 | 24 | 1 | 5 | 7 | 11:17 | 8 |
| 13 | ასტონ ვილა | 0:3 | 0:0 | | | 0:1 | 2:1 | | | 2:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | | 1:1 | 1:3 | | | 1:0 | 2:0 | 2:0 | 26 | 7 | 11 | 8 | 28:31 | 32 | 6 | 4 | 3 | 15:11 | 22 | 1 | 7 | 5 | 13:20 | 10 |
| 14 | ფულემი | | 0:2 | | 2:1 | 1:1 | 0:1 | | 1:0 | | 2:1 | 1:1 | 2:1 | | | | 1:0 | 0:1 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 26 | 7 | 11 | 8 | 28:39 | 32 | 6 | 4 | 3 | 12:10 | 22 | 1 | 7 | 5 | 16:29 | 10 |
| 15 | სიტი | | | | 1:0 | 0:2 | 0:2 | 0:0 | 2:1 | 0:3 | 0:0 | 1:2 | 1:0 | | 3:1 | | 0:0 | | 2:0 | | 0:0 | 25 | 8 | 6 | 11 | 19:30 | 30 | 5 | 4 | 4 | 10:11 | 19 | 3 | 2 | 7 | 9:19 | 11 |
| 16 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | 1:1 | 1:0 | 2:2 | 1:2 | 1:1 | | 0:0 | | | 2:1 | 2:2 | 2:0 | 0:1 | | | | 2:1 | | 26 | 7 | 6 | 13 | 22:35 | 27 | 4 | 5 | 4 | 15:15 | 17 | 3 | 1 | 9 | 7:20 | 10 |
| 17 | უიგანი | 1:3 | 2:3 | 0:4 | 0:1 | | 1:0 | 1:0 | 0:2 | 0:3 | | | | 0:0 | | 4:0 | 0:1 | | | 3:2 | 1:1 | 25 | 7 | 4 | 14 | 26:41 | 25 | 4 | 2 | 7 | 13:20 | 14 | 3 | 2 | 7 | 13:21 | 11 |
| 18 | ვესტ ჰემი | 1:0 | | 1:2 | 1:0 | | 0:1 | 1:2 | | 2:1 | 0:2 | | | 1:1 | 3:3 | 0:1 | 1:0 | 0:2 | | 3:1 | | 26 | 5 | 5 | 16 | 18:41 | 20 | 5 | 2 | 6 | 14:16 | 17 | 0 | 3 | 10 | 4:25 | 3 |
| 19 | ჩარლტონი | 0:3 | 0:1 | 0:3 | 1:2 | 2:0 | | 0:1 | 1:1 | 1:0 | | | 1:3 | 2:1 | 2:2 | 1:0 | | | | | 0:0 | 26 | 5 | 5 | 16 | 20:45 | 20 | 4 | 3 | 6 | 11:17 | 15 | 1 | 2 | 10 | 9:28 | 5 |
| 20 | უოტფორდი | 1:2 | | 0:3 | 1:2 | 0:1 | 0:0 | | | 2:1 | | 0:0 | 2:0 | 0:0 | 3:3 | | 0:1 | : | 1:1 | | | 25 | 2 | 9 | 14 | 14:37 | 15 | 2 | 5 | 5 | 10:14 | 11 | 0 | 4 | 9 | 4:23 | 4 |

# ზიზუმ მოედანი დაიპატარავა



**ზინედინ ზიდანი** ფეხბურთს უბრუნდება, ოღონდ... პატარა ფეხბურთს — საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა გადაწყვიტა, ფუტსალში სცადოს ბედი.

„იუვენტუსისა“ და „რეალის“ დიდმა ვარსკვლავმა 25 მარტს, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონ თანაგუნდელებთან ერთად ხუთსაათიან საჩვენებელ ბურთაობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. სანახაობა „პარიბერსის პალას ომნისპორტში“ გაიმართება და მასზე დასაწრები ბილეთები უკვე გაყიდულია. ზიდანის გარდა ხუთსაათიან ბურთაობაში გამოვლენ ჟან-პიერ პაპენი, მანუელ ამორო და ბრაზილიელები, რაი და ლეონარდო.

შეჯიბრება მოაწყო საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა დირექტორმა ანრი ემილმა, რომელიც ბოლო ხანს ფუტსალს უწევს პროპაგანდას. მან თქვა:

„ბერსიში დანიშნული ეს ტურნირი საფრანგეთში პოპულარულს გახდის სპორტის იმ სახეობას, რომელიც უცხოეთში ჩვენზე მეტად პოპულარულია. ვფიქრობ, სპორტის ის სახეობა, რომელიც თამაშის სიყვარულზეა დაფუძნებული, ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა დაინერგოს“.

**პაპუნა ძედია**

# ტეილორი გენსავარძელში

**შოტლანდიის** ფეხბურთის ასოციაციის თავკაცი დევიდ ტეილორი გუშინ ოფიციალურად დანიშნეს უეფას გენერალური მდივნის თანამდებობაზე. ადმინისტრაციულ იერარქიაში ესაა ყველაზე მაღალი საფეხური და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მთელ საფეხბურთო სამყაროში.

